MES 2 22 0000228128

07/03/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 21 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვას.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87400276420?pwd=a3BBVzR4OU5NWjZxWjZmVDZNWkJOQT09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“:
თეანა ქუხილავა - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია:
რევაზ უზუნაძე - აკადემიის დირექტორი,
შორენა უზუნაძე დირექტორის მოადგილე,
მზია ბაკურიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ინგა შალამბერიძე - ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“:
ანა დათუაშვილი - კოლეჯის დირექტორი,
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნათია გოგინაშვილი - კოლეჯის იურისტი.

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი:
გარი ჩაფიძე - კოლეჯის დირექტორი და დამფუძნებელი,
ნატალია ბარათელი -ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA:
ია ერაძე - დირექტორი,
ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ - კოლეჯი „აისი“:
მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი,
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე,
ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“:
ნანა ჯოლია - დირექტორი,
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
მაკა ბერიძე - რექტორი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

ელენე კაკაბაძე,
ქეთევან ჭუჭულაშვილი,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ირმა ღარიბაშვილი,
მამუკა ხოშტარია,
მაია თოიძე,
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი,
ბარბარე გონაშვილი,
ნიკა ჯიაძე,
ქეთევან ღვანიძე,
გიორგი ნაჭყეპია,
მანანა მოისწრაფიშვილი,
ირაკლი სალუქვაძე,
გიული გურგენიძე,
თაბუკა ციმინტია,
ნინო ბოკუჩავა,
ხათუნა წერეთელი,
ნინო ვასაძე,
ნინო მოწყობილი,
ზაირა ბერიძე,
ქეთევან ჯანელიძე,
ტიტე ბოლქვაძე,
თათია გივიშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:15 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება (9 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი);
2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (16 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი) ;
3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (16 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი);

4. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „სკოლამდელი განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (დედოფლისწყარო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ლაგოდეხი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ვიზაჟის მომსახურების“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ (ს. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
13. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ს. გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ,
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა კომენტარი გააკეთა, მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგის რამდენიმე საკითხი, კერძოდ საკითხი, კოლეჯი „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადმოტანილი იყო 9 თებერვლის სხდომიდან და ორი საკითხი გადმოვიდა 16 თებერვლის საბჭოს სხდომის დღის წესრიგიდან, კერძოდ, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა და ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

რადგან საბჭოს მდივანი სხდომას არ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ქრისტინა რზგოევას, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

1. სსიპ - კოლეჯი „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება (9 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი).

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭომ წინა სხდომაზე უკვე განიხილა, სრულად მოისმინა ექსპერტთა დასკვნა კოლეჯ ,,ლაკადას“ ,,შედუღების“ პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. მაგრამ არ იყო ნათელი მონიტორინგის ვადა, რომელიც შეიძლებოდა კოლეჯისთვის განსაზღვრულიყო. საბჭო არ იყო წინააღმდეგი დაწესებულებისთვის ამ პროგრამის განხორციელების უფლების მიცემაზე, მაგრამ საჭირო იყო დაზუსტება და საბჭომ ცენტრს დაავალა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან დაზუსტება, რა ვადაში მოხდებოდა ამ პროგრამისთვის სასწავლო სახელოსნოს მშენებლობის დასრულება. ქალნატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაეგზავნა შკითხვა სააგენტოს და მიიღეს საპასუხო წერილი, რომელიც საბჭოსაც მიეწოდა. წერილში სააგენტომ დააზუსტა, რომ მშენებლობა აგვისტოს თვეში დასრულდება. დაწესებულებამაც აგვისტოს თვე მოიწერა მონიტორინგისთვის და რადგანაც მეორე პროგრამაზე, რომელზეც უკვე მიეცათ უფლება და განისაზღვრა 9 აგვისტო მონიტორინგის ვადად, რეკომენდაციაა ამ პროგრამაზეც განისაზღვროს 9 აგვისტო, თუ საბჭო თანახმა იქნება. ინფრასტრუქტურის სააგენტო ადასტურებს თავის ა/წ 16 თებერვლის წერილში, რომ მშენებლობა დასრულდება აგვისტოს თვეში (წერილის N 155264). წერილი საბჭოს წევრებსაც მიეწოდათ.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თეანა ქუხილავას, რომელმაც დაადასტურა, რომ 9 აგვისტომდე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა მოხდებოდა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
(დანართი 1).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „შედუღების“ პროგრამაზე, 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 9 აგვისტო. მონიტორინგის ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში იმ დროისთვის არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე.

2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (16 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი).

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტმა ელენე კაკაბაძემ საბჭოზე წარმოადგინა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო საბჭოს შუამდგომლობით და ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ექსპერტები ელენე კაკაბაძე და ქეთევან ჭუჭულაშვილი იმყოფებოდნენ აღნიშნულ დაწესებულებაში. მიზანი იყო დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,ე“, , ,ა“ კომპონენტის შემოწმება. წინა ვიზიტის დროს გაცემული იყო ორი რეკომენდაცია:
5.1,1.4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. წინა ვიზიტის პერიოდში მხოლოდ მეორე სართული იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობით, ხოლო მესამე სართულზე იყო მხოლოდ აყვანილი ცენტრალური გათბობის მილები და დამონტაჟებული არ იყო რადიატორები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება აღნიშნულს განახორციელებდა 2021 წლის პირველ დეკემბრამდე. შესაბაამისად, მათი ვიზიტი დაიგეგმა 29 დეკემბერს. ექსპერტებმა ვიზიტის დროს გათბობის სისტემა დაათვალიერეს და აღმოჩნდა, რომ ორივე სართულზე იყო მილები დამონტაჟებული და რადიატორებიც, თუმცა გაზიფიცირება არ იყო მოხდენილი. შესაბამისად, არ ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, **5.1.1.9** ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას, სამკითხველო დარბაზს და აუდიტორიებს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ამ შემთხვევაში, აკადემიის B სასწავლო გარემო არ იყო უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვიზიტის დროს დახვდათ ორი B გარემო, რომელიც დაწესებულებამ შექმნა ადმინისტრაციის დიდი ოთახიდან და ორივე B გარემო უზრუნველყოფილი იყო როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათებით. პირველ კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილი შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ გათბობის სისტემის გაზიფიცირება მომხადრიყო. ამიტომ, 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობა“. დანარჩენი შესაბამისობაში იყო აღნიშნა ექსპერტმა. დარგის ექსპერტმა, ქეთევან ჭუჭულაშვილმა თქვა, რომ ელენემ სრულად ამოწურა ვიზიტის დროს შეფასებული ფაქტები.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სტეფანიშვილმა გააჟღერა, რომ მას შემდეგ რაც დასკვნა ჩაბარდა, 31 იანვარს დაწესებულებიდან შემოვიდა წერილი (წერილის N 633). ცენტრს აცნობეს, რომ დაწესებულებაში გაზიფიცირება უკვე მოხდა, გამოაგზავნეს მიღება-ჩაბარების აქტი (შესრულებულ სამუშაოზე შპს ,,სოკარ ჯორჯიასთან“ გაზსადენის ექსპლოატაციაში მიღების აქტი) და გაზის ხელსაწყოების მოხმარებისა და უსაფრთხოების წესები, თუმცა, აღნიშნა ნინო სტეფანიშვილმა, ვიზუალურად არ იყო დათვალიერებული, მხოლოდ წერილი შემოვიდა და ამის აღნიშვნა უნდოდა საბჭოზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ გათბობის სისტემა მოგვარებული აქვთ. გათბობა მანამდეც იყო, სხვა გათბობის სისტემა იყო. რაც გაწერილია შესაბამისობის გეგმით, უკვე შესრულებულია.

ნინო სტეფანიშვილმა დაამატა, რომ დოკუმენტაციის სანდოობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა ადასტურებს, რომ ვიზუალურად არ უნახავს. ეს დოკუმენტაცია მიიღეს დასკვნის მიღების შემდეგ და ექსპერტებთან არ გადაგზავნილა.

შორენა ჯაფარიძეს ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტთან. 5.1 კომპონენტი, რომელიც შეაფასეს მეტწილად. გამოდის, დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია. ვინაიდან სხვა კომპონენტებთან დაკავშირებით მათ არ ჰქონდათ პრობლემა.

დაწესებულების დირექტორის მოადგილემ დააზუსტა, რომ შენობაში რომელშიც იყვნენ იჯარით, იყო ყოველთვის გათბობა. გადაწყვიტეს გაზიფიკაცია, გათბობის ქვაბი მეიჯარემ მოაწოდა და იმ პერიოდში, როცა ექსპერტები იყვნენ, სამუშაოები არ იყო დასრულებული. ამჟამად მათ ხელთ აქვთ მიღება-ჩაბარების აქტი, რომ სამუშაოები დასრულებულია. ეს არის ,,სოკარ ჯორჯიადან“ მიღებული აქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, მისი შეფასებით, სადაც დაწერა 5.1 შეუსაბამობა, ეს მხოლოდ გაზიფიცირების პრობლემა იყო თუ იყო სხვა პრობლემაც, მას აინტერესებდა როგორ მიმდინარეობდა ამ რეკომენდაციის შესრულება, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ აგვისტოში როცა ვიზიტი იყო, მათ ნახეს წინა ვიზიტის რეკომენდაციები. იქ ეწერა, რომ მესამე სართულზე არ არის დამონტაჟებული გათბობის სისტემა. მათი ვიზიტის დროს, გაზის სისტემა დამონტაჟებული იყო, მხოლოდ არ ფუნქციონირებდა. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, მეიჯარესთან მიმოწერა, ,,სოკარ ჯორჯიას“ დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ თებერვლის დასაწყისში ან უფრო ადრე გაზიფიცირების პროცესი დასრულდებოდა.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ნოემბრიდან მესამე სართული სრულიად გამოუყენებელი იყო. რაზეც საბჭოს თავმჯდომარეს ჰქონდა რეაქცია, მან იკითხა = რატომ იყო გამოუყენებელი, არ იყო საჭიროება? ექსპერტმა უპასუხა, რომ პროფესიული სტუდენტები სწავლების ონ-ლაინ რეჟიმში იყვნენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ სტუდენტები არ უნახავთ ვიზიტის დღეს, შენობა თბებოდა, კონდიციონერი ჩართული იყო გათბობის რეჟიმში. ყველაფერო მოწესრიგებული იყო ვიზუალურად, თუმცა გაზი არ მიეწოდებოდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ცენტრალური გათბობა შესაბამისობაშია.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში (ს/კ: 245419355) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 21 თებერვალი.
საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, ცნობად მიაწოდოს ინფორმაცია ბათუმის სამედიცინო აკადემიაში გათბობის გამართულობასთან დაკავშირებით, ბათუმში რომელიმე წარმოების ფარგლებში ვიზიტისას დათვალიერების შედეგად. .

3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
(16 თებერვლის სხდომიდან გადატანილი საკითხი).

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტმა ვახტანგ ბოგველიშვილმა საბჭოზე წარადგინა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა კოლეჯ ,,განთიადის“ საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღების“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამების, მეორე სტანდარტის 2.2 კომონენტის შესაბამისობის შემოწმება. ეს პროგრამები ხორციელდება ორ ლოკაციაზე: ქალაქ გორში, ბესიკის ქუჩა N2-ში და ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში. ამასთანავე, ექსპერტებს დაევალათ მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შესრულების შემოწმება. ეს მონიტორინგები საბჭოს მოთხოვნით იქნა ჩანიშნული. სოფელი ხიდისთავი 5-6 კმ მოცილებით არის ქალაქ გორიდან. ვიზიტი განხორციელდა 17 იანვარს. წინა მონიტორინგის ფარგლებში, (გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავის მისამართზე) დაწესებულება 5.1 კომპონენტთან მიმართებით შეფასდა ,,შეუსაბამოდ“, ხოლო 5.2 კომპონენტთან მიმართებით ,,მეტწილ შესაბამისად“, რადგან 5.1.1.1 ინდიკატორი შეფასდა ,,შეუსაბამოდ“, ხოლო დანარჩენი ინდიკატორები შეფასდა ,,მეტწილ შესაბამისად“.
რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამას ,,შედუღების“ წარმოების დროს 2.2 კომპონენტი შეფასდა ,,მეტწილ შესაბამისად“, ვინაიდან 2.2.1.1 ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილ შესაბამისად“. დაწესებულებას არ ჰქონდა შეძენილი ამ პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსიც.
რაც შეეხება ,,ხის მხატვრული დამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების საკითხს, ისევე როგორც წინა შემთხევაში. 2.2 კომპონენტი შეფასდა ,,მეტწილ შესაბამისად“, რადგანაც 2.2.1.1 ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილ შესაბამისად“. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისთვის არ ჰქონდა შეძენილი მატერიალური რესურსი.
მიმდინარე წარმოებისას 5.1 და 5.2 კომპონენტები ორივე პროგრამისთვის სრულ შესაბამისობაშია ამ წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ სრულად შეიძინა მატერიალური რესურსი და სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამას ,,შედუღება“, დაწესებულებამ სრულად შეიძინა დარგობრივად საჭირო მატერიალური

რესურსი, თუმცა ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს, გარკვეული რესურსი არ იყო შეძენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი იყო დაწყების და დასრულების თარიღი (იანვარი, თებერვალი) და ამიტომ მათ მიერ შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობა". წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია მეცნიერება და ტექნოლოგიების ლაბორატორიაში მოწყობილიყო ხელსაბანი და გამწოვი კარადა. ხელსაბანი მოწყობილია. გამწოვი კარადა არის, დგას, თუმცა არ იყო მუშა მდგომარეობაში.
ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები, როგორც შესაბამისობის, ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტოები, როგორც ,,შედუღების", ასევე ,,ხის მხატვრული დამუშავების" პროგრამების, კერძოდ, სახელოსნოს, სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის ფოტოები.
დარგის ექსპერტმა, მამუკა ხოშტარიამ ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებზე:

2.2.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება" ფარგლებში
ა) იმ სივრცეში სადაც ამჟამად განლაგებულია ჩარხები, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მასალების დასამუშავებლად ან სამარჯვი რაიმეს გასაკეთებლად) უმჯობესია განლაგდეს ტექნოლოგიურად, რაც ნიშნავს, რომ განლაგება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ჯერ ხდება მასალის დანაწევრება შემდეგ გასალაშინება, შემდეგ გარეისმუსება, შემდეგ ფრეზვა, შემდეგ ხის აბრაზიული დამუშავება, და შემდეგ რეცხვით პროგრამული ჩარხი და ა.შ.
ბ) სასურველია, სახელოსნოში იყოს გამოყოფილი ბილიკი, ყვითელი საღებავით, სადაც არ შეიძლება ნედლეულის დაწყობა. ეს გამოყოფილი ბილიკი უნდა იყოს ყოველთვის თავისუფალი.
2.2.1.7 ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღება" ფარგლებში პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები დათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე. რენტაბელობის ზღვარი არის 7 პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროგრამაზე ამჟამად ირიცხება 5 აქტიური პროფესიული სტუდენტი. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ზემოაღნიშნული მონაცემები.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, რომ ასეთ შემთხვევაში დებულება პირდაპირ გვეუბნება, რომ თუ იყო ,,მეტწილი შესაბამისობა" და ნაწილი სამუშაოები შესრულდა, მაგრამ შეფასება არ შეცვლილა, ასეთ შემთხვევაში საბჭოს შეუძლია განუსაზღვროს ვადა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის მე-19 პუნქტი).
დაწესებულებამ ანგარიშის წარმოდგენისთვის მაქსიმუმ ერთი თვე დაასახელა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში" (ს/კ:217890192) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 21 თებერვალი.
საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, გამოითხოვოს დაწესებულებიდან ანგარიში ერთი თვის ვადაში და მიაწოდოს საბჭოს.

4. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა მაია თოიძემ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში. ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. დაწესებულება შემოდის პროფესიული განათლების სივრცეში და ყველა სტანდარტთან მიმართებაში განხორციელდა დაწესებულების შეფასება. წარმოდგენილი იყო ერთი პროგრამა. ექსპერტთა შეფასების მიხედვით ყველა სტანდარტი. მეორე სტანდარტის გარდა, შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. შემდეგ ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა თითოეულ სტანდარტის შესაბამისობაზე და რეკომენდაციებზე. პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, თუმცა ექსპერტების მიერ გაიცა რამდნომე განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:
1.2.1 (2) რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი განხორციელდეს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რათა დაწესებულებამ დროულად რეაგირება მოახდინა მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ შესაძლო შეფერხებებზე რათა მოხდეს დროული ჩარევა და უზრუნველოფილი იქნას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.
1.2.1 (3) რეკომენდირებულია კოლეჯმა სამოქმედო გეგმაში აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებლად განსაზღვროს კონკრეტული პირი, ხოლო სხვები განისაზღვროს როგორც ჩართული, შემსრულებელი მხარეები. აქტივობათ ფორმულირება გახდეს მეტად კონკრეტული და გაზომვადი.
მესამე და მეოთხე სტანდარტი ასევე შეფასებულია როგორც სრულად შესაბამისი, ორივე სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
3.1.1. (1; 5) რეკომენდირებულია კოლეჯმა უზრუნველყოს იმ დოკუმენტთა ოპტიმიზაცია, რომლებითაც მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე საკითხებია დარეგულირებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფასთან, ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით.
4.1.1. (1) კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების ოპტიმიზაცია.
რაც შეეხება მეხუთე სტანდარტს, შეფასდა, ,,მეტწილად შეესაბამება“. დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა, გაწერილი იყო გრაფიკი და ვიზიტის დროს განხორციელდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული ყველა ფართის დათვალიერება. მიწერილობის მიხედვით დაწესებულებას ჰქონდა მთლიანობაში ღონისძიებები ჩატარებული, თუმცა დარჩენილი იყო

რამდენიმე რეკომენდაციის შესრულება, რომელიც ეხებოდა შენობიდან გასასვლელი კარების გაღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, ნოემბრის თვეში დამტკიცებული, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხის მოგვარება განსაზღვრა 2022 წლის 8 აპრილს. ამის საფუძველზე ექსპერტებმა შეაფასეს როგორც ,,მეტწილი შესაბამისობი“ და გასცეს შესაბამისობის რეკომენდაცია:
5.1.2 (1) დაწესებულებამ მის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების უსაფრთხოების ზომების შესაბამისობაში მოყვანა.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ, რომ პროგრამა არის მესამე დონის, მოდულური პროგრამა, დაწესებულება ითხოვს 40 სტუდენტს. ამ პროგრამისათვის დაწესებულებას გააჩნია A, B და C გარემო. ასევე ჰყავს ორი პარტნიორი: ლიბერთი ბანკი და სავაჭრო ქსელები ,,ფენიქსი“. აღნიშნულ კომპანიებთან დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები და ერთი მოდულისა და საწარმოო პრაქტიკის განხორციელება მოხდება ამ ობიექტებზე. მოხდა პარტნიორი ობიექტების დათვალიერებაც. ერთადერთი, რაც ექსპერტმა აღნიშნა, როგორც გამოწვევა, კომპიუტერებში არ იყო ჩატვირთული პროგრამა. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა გაფორმებული მემორანდუმი ,,ალტას“ ოფისთან და ასევე, შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა აღნიშნული საკითხის მოგვარების ვადა. 2022 წლის 31 დეკემბერი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები ,,საფინანსო სერვისების“ პროგრამასთან მიმართებით, რომ ეს პრობლემა აღმოფხვრილი იყო. მიეცათ შესაბამისობის რეკომენდაცია:
2.2.1 (1) დაწესებულებამ მის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მოდულური პროგრამის ,,საფინანსო სერვისები“ სატესტო სასწავლო საბანკო პროგრამით უზრუნველყოფა.
შემდეგ ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტოები.

შორენა ჯაფარიძეს აინტერესებდა, რატომ არ გაითვალისწინეს ექსპერტებმა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც წარმოდგენილი იყო დასკვნის პროექტის შემუშაბვების ეტაპზე, რაზედაც ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა უპასუხა, რომ რადგან ეს იყო ვიზიტის შემდგომ განხორციელებული აქტივობის ამსახველი დოკუმენტაცია, ამიტომ არ მოხდა მათი გათვალისწინება.

დეა აბულაძე შემოვიდა 15:05 საათზე,
ნინო კაკულია შემოვიდა 15:07 საათზე,
ქრისტინა რზგოევა გავიდა 15:07 საათზე და შემოვიდა 17:20 საათზე.
ნანა ყუფუნია გავიდა 15:45 სთ-ზე.

ტექნიკური ხარვეზის გამო, საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა შორენა ჯაფარიძემ. მან თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომლებმაც ყველა სტანდარტები სრულიად დაწვრილებით შეამოწმეს და მათ მისცეს როგორც რეკომენდაციები, ასევე განმავითარებელი რეკომენდაციებიც, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ახლა შემოდიან ბაზარზე. მან აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისობის გეგმა, რომელიც მიაწოდეს ექსპერტებს, რომელიც 29 ნოემბერს იყო დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ვიზიტამდე მოასწრებდნენ, თუმცაღა პროგრამის ,,საფინანსო სერვისების” განხორციელებისთვის საჭირო სატესტო (სასწავლო) საბანკო პროგრამა ვიზიტის მომენტისთვის არ იყო ჩატვირთული. აღმოჩნდა, რომ კომპანია ურთიერთობს მხოლოდ სსიპ-ებთან და ისიც იმ შემთხვევაში თუ კოლეჯს აქვს ავტორიზაცია ან აკრედიტებულია პროგრამა. კოლეჯს დასჭირდათ ძალიან დიდი დრო მოლაპარაკებისათვის, და დარწმუნრბა, რომ ისინი ვერანაირად ვერ მიიღებდნენ

ავტორიზაციას თუ ეს პროგრამები არ ჩაიტვირთებოდა. როგორღაც მიაღწიეს ამ შეთანხმებას და მათ უთხრეს, რომ ისინი არ ყიდიან პროგრამებს, ისინი ჩუქნიან დაწესებულებებს სასწავლო მიზნებისთვის. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, მათსა და სოფტს შორის გაფორმდა მემორანდუმი 9 დეკემბრისთვის. ამ დროს ექსპერტები შემოვიდნენ ვიზიტზე. კოლეჯმა ეს გაფორმებული მემორანდუმი და შესაბამისობის გეგმა მიაწოდა ექსპერტებს და გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთი თვის ვადაში უნდა ჩაეტვირთათ ეს პროგრამები, 29 დეკემბრამდე. დაწესებულებამ 22 დეკემბრისთვის უკვე უზრუნველყო და ამის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტაცია გადმოაგზავნეს ექსპერტებთან. საუბარია 2.2 კომპონენტზე, რომელიც ექსპერტებმა შეაფასეს როგორც ,,მეტწილი".
შორენა ჯაფარიძემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რა სახის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნენ და ცენტრს ხომ არ აქვს შესწავლილი, თუ დაადასტურებდნენ.
ქალბატონმა ნატალიამ უპასუხა, რომ როგორც კი ჩაიტვირთა პროგრამები კომპიუტერში, მათ ინფორმაცია გაგზავნეს ცენტრში, მიღება-ჩაბარების აქტი ვერ შედგებოდა, რადგანაც პროგრამა აჩუქეს. რომ გაეყიდათ მაშინ მიღება-ჩაბარების აქტებსაც გადმოგზავნიდნენ. მათ აქვთ მეილით მიმოწერა და ეს არის გადმოგზავნილი.
ქალბატონმა ნანიმ უპასუხა, რომ ეს ყველაფერი მიეწოდათ ექსპერტებსაც, რომ ეს არის კოლეჯის მიმოწერა, ეს არც მიღება-ჩაბარების აქტი ან დოკუმენტია, რომლითაც გამოჩნდებოდა რომ ჩატვირთულია. ეს არის ცხრილი რომ მემორანდუმის ფარგლებში დისტანციურად ჩაიტვირთა პროგრამები. ნათია თავართქილაძე წერს კოლეჯს, რომ პროგრამა ჩატვირთულია. ეს არის მიმოწერის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ პროგრამა ჩატვირთულია.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ მათ თავიდანვე იცოდნენ, ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სოფტი ჩუქნიდათ და ჩატვირთვა მოხდებოდა დაწესებულების კომპიუტერებში.

5.1 კომპონენტს, რაც შეეხება, მითითებული ჰქონდათ აპრილი, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, 8 აპრილისთვის შეეძლებათ საბჭოს აცნობონ, რომ გაკეთებულია, დანარჩენი შესრულებული და გაკეთებული აქვთ. რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს ეთანხმებიან ექსპერტებს, მაგრამ ვერ ეთანხმებიან ორი მიმართულებით რეკომენდაციებზე, როდესაც ეუბნებიან, რომ განვითარებისთვის რაღაც დოკუმენტაციას გაუკეთდეს ოპტიმიზაცია, დებულებაში მათ სტრუქტურები აღწერილი აქვთ და მისი ფუნქციები ჩაწერილი აქვთ. ხოლო სტრუქტურის დებულებაში მათ გაწერილი აქვთ სტრუქტურის შექმის მიზანი, ამოცანები, უფლებამოვალეობანი, ასევე ანგარიშგება ვისთან აქვს. ამიტომ ამის შეერთება, მითუმეტეს საწყის ეტაპზე, ამას არ გაიზიარებენ, ასევე არ გაიზიარებენ სასწავლო მართვის დებულებაში მათ უწერიათ როგორ უნდა ჩართონ ინდივიდუალურ გეგმაში შშმ პირები, წესი. ხოლო ცალკე აქვთ დოკუმენტი, როგორ შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მისი აზრით, ეს ორი აბსოლუტურად სხვადასხვა დოკუმენტია. დანარჩენი სრულიად მისაღები რეკომენდაციებია და ადასტურებს, რომ ექსპერტების ვიზიტი განვითარებაზე იყო მიმართული.

შეკითხვები არ იყო და საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

2.2 კომპონენტი მეტწილიდან გადავიდა სრულ შესაბამისობაში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. საბჭომ და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ არსებული დოკუმენტაცია საკმარისია, განაცხადა სხდომის თავმჯდომარემ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად,
შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯს (ს/კ:406308687) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.
შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2)**.

5. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „სკოლამდელი განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტმა ნიკა ჯიაძემ საბჭოზე წარმოადგინა SBA-ს „სკოლამდელი განათლების“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ დასკვნის პრეზენტაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა და არც განმავითარებელი რეკომენდაცია გაცემულა. შესაბამისად, 2.2 კომპონენტში ,,სრული შესაბამისობა“ აქვთ მინიჭებული. ექსპერტებმა მატერიალური რესურსები შეაფასეს, რადგან კოლეჯი იმატებს 80 სტუდენტს, მთლიანობაში 120 სტუდენტი იქნება. კოლეჯს აქვთ შესაბამისი აუდიტორიები, 4 სასწავლო აუდიტორია, 2 A გარემო, 2 B გარემო, დაიმატეს 7 პრაქტიკის ობიექტი. მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მსმენელთა გაზრდისათვის მათ დაიმატეს 30 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამას ჰყავს პსდ-დ მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია; სსმ პირებს წვდომა აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ მოთხოვნილებების შესაბამისად; პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპრტმა წარმოადგინა ფოტოები სამი აუდიტორიის და ასევე B გარემოს ფოტოები.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტმა კარგად ჩაიარა, სასიამოვნო გარემოში, გასაუბრებები ჩატარდა როგორც განმახორციელებლებთან ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან. კადრი საკმაოდ კომპეტენტურია და დარგობრივი გამოცდილებაც საკმაოდ აქვთ, ხარვეზი და რეკომენდაცია არ ჰქონიათ. დაწესებულებას ამ პროგრამისთვის იდეალურად აქვთ ყველაფერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქალბატონმა ია ერაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მან თქვა, რომ ყოველთვის მზად არიან გამართული დახვდნენ ექსპერტებს და სასიამოვნო გარემო დახვდეთ. მათ იციან რომ ეს პროგრამა არის მნიშვნელოვანი. იციან, რომ მნიშვნელოვანი რეფორმა იგეგმება ზოგადი განათლების კუთხით და ცდილობენ, მზად იყვნენ შესაბამისად.

კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „სკოლამდელი განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს (ს/კ:406037550) დანართით განსაზღვრულ „სკოლამდელი განათლების“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით
(დანართი 3).

6. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს ,,კომპიუტერული ქაელისა და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოზე დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა ისევ ექსპერტმა ნიკა ჯიაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება SBA-ს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. ამ პროგრამასთან მიმართებაშიც ხარვეზი არ ყოფილა და განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ გაცემულა. შესაბამისად, განმავითარებელი გეგმაც არ შეუმუშავებიათ, რადგან არ იყო ამის საჭიროება. 2.2 სტანდარტის კომპონენტში სრული შესაბამისობაა.

მატერიალურ რესურსშიც ყველაფერი რიგზეა, 90 სტუდენტს იმატებს დაწესებულება, მთლიანობაში 180 პროფესიული სტუდენტი. მათ აქვთ 3 A გარემო, 2 B გარემო და 1 C გარემო.
მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათ დაიმატეს მასწავლებლები, ჯამში ჰყავთ 46 პროფესიული მასწავლებელი. გასაუბრება ჰქონდათ მასწავლებლებთან და დამტკიცდა მათი კომპეტენცია, ასევე პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
რაც შეეხება სასწავლო რესურსს, გადამოწმდა და საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია; სსმ პირებს წვდომა აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ მოთხოვნილებების შესაბამისად; ფინანსური რესურსიც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობის თვალსაზრისით. შემდეგ ექსპერტმა ფოტომასალა წარუდგინა საბჭოს, კერძოდ სამი აუდიტორია, ასევე, პროგრამის B და C გარემო.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ გასაუბრება განმახორციელებლებთან, რომელთაც აქვთ პრაქტიკული კარგი გამოცდილებაც და დარგის ხელმძღვანელიც კომპეტენტურია. კომპიუტერული კლასი სამი იყო, სადაც კარგი კომპიუტერები დახვდათ და კარგი ქსელური მოწყობილობები აქვთ, ყველანაირად აღჭურვილია ორი ლაბორატორია.

შორენა ჯაფარიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, რომ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები თუ დაიმატეს და თუ ჰქონდათ მათთან გასაუბრება, რაზედაც ექსპერტებმა თქვეს, რომ Zoom-ით ჰქონდათ გასაუბრება ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლებთანაც და ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელმა, ია ერაძემ ისაუბრა. მან თქვა, რომ წინა წელს დაიმატეს ეს პროგრამა განსახორციელებლად, სრულიად ახალი იყო მათ სივრცეში და წარმატებით დაკომპლექტდა პირველივე წელს, კარგი ჯგუფი შეიქმნა, ინტეგრირებული, რაც საამაყოა მათთვის. მასწავლებლების რაოდენობა, ბუნებრივია უნდა გაზრდილიყო, როგორც ინტეგრირებული, ასევე დარგის მიმართულებით. დარგის მიმართულებით დაიმატეს 5 მასწავლებელი. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ მოქმედი პრაქტიკოსები შემოიყვანონ, იმიტომ რომ ის ხედავს მასწავლებლების დეფიციტს ამ მიმართულებით და სწორედ ასეთი მასწავლებლები შემოიყვანეს და კიდევ ეძებენ, თუმცა პროგრამა მდგრადია და ამ პროგრამას ახორციელებს 46 მასწავლებელი. დაემატა 12 მასწავლებველი. 12-დან ინტეგრირებული და დარგის ახალი მასწავლებლები. რაც შეეხება გარემოს, სრულიად ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია დაემატა ამ პროგრამას. შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი და იმაზე მეტი, რაც მოთხოვნაა, სისკოს აკადემიის სწავლებაზეა პროგრამა დაფუძნებელი და აკადემიას ჰყავს სისკოს სერტიფიკატით დასაქმებული პირები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში

ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს (ს/კ:406037550) დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 180-ით **(დანართი 4).**

7. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ,,ლოგისტიკის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოზე დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა ისევ ექსპერტმა ნიკა ჯიაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. ექსპერტმა თქვა, რომ ვიზიტის დროს პროგრამაზე ხარვეზი არ დაფიქსირდა და არც განმავითარებელი რეკომენდაცია გაცემულა და არც განმავითარებელი გეგმა არ შეუმუშავებიათ. შესაბამისად, 2.2 სტანდარტის კომპონენტში სრული შესაბამისობა აქვთ. შეამოწმეს მატერიალური რესურსი, აკადემიას სურს დაიმატოს 90 სტუდენტი, ჯამში 180 სტუდენტი იქნება. აუდიტორიები არის: 3 A გარემო, 4 B გარემო და 1 C გარემო. ამ პროგრამისთვის შეიძინეს კარგი ტექნიკა, კომპიუტერები. დაიმატეს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი და 7 ინტეგრირებული მოდულებისთვის, სულ არის 48 პროფესიული მასწავლებელი ამ პროგრამისთვის. ექსპერტმა თქვა, რომ შეაფასეს მასწალებლების და პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციები, გადამოწმდა სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკაში, ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ონ ლაინ, ისე ადგილზე, და ასევე ხელმისაწვდომია სსსმ პირებისთვისაც. შემდეგ ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტო მასალა ამ პროგრამისთვის.
დარგის ექსპერტმა, ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, რომ მათი ვიზიტი ძალიან წარმატებული იყო აკადემიაში. მათ შეისწავლეს და ყურადღება მიაქციეს ახალ მატერიალურ რესურსებს პროგრამისთვის, ასევე მასწავლებელთა კომპეტენციის შესახებ ისაუბრა, რომ 12 ახალი პროფესიული მასწავლებლიდან 5 იყო დარგობრივი მოდულებისთვის განმახორციელებელი, თითოეული მასწავლებელი იყო პრაქტიკოსი, 7 ინტეგრირებული მასწავლებელი, რომელიც შერჩეული და დატრენინგებული იყვნენ სამინისტროს მიერ. მატერიალური რესურსიც საკმარისი იყო, გამოითხოვეს მასწავლებელთა დატვირთვა და აუდიტორიების დატვირთვის გადამოწმებაც მოხდა, რაც სრულად არის უზრუნველყოფილი. პროგრამის ხელმძღვანელი არის ძალიან მოტივირებული, ერუდირებული, ყველათვის ნაცნობი. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პრაქტიკულ სწავლებაზე და პრაქტიკაზე. წარმოებაში. პრაქტიკის ხელშეკრულებებიც 210 - ზე იყო გაფორმებული და როგორც დარგის ექსპერტი ადასტურებს, რომ არაფერი უდგას წინ პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

შორენა ჯაფარიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, შეისწავლეს თუ არა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და რამდენად დამაჯერებელია დასაბუთება, რატომ იყო მსმენელთა რაოდენობის მომატების საჭიროება.

მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ იყო წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა, წარმოდგენილი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გაანალიზებული იყო მაღალ დონეზე ლოგისტიკის დარგის განვითარების გეოგრაფიული არეალები, საჭიროება და მოცულობა, რომელიც მიბმული იყო ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიაზე, ასევე, პრაქტიკის განმახორციელებლებს როცა გაესაუბრენ, ისინი არიან დიდი ლოგისტიკური კომპანიების მფლობელები, თითოეულმა მათგანმა დაასაბუთა საჭიროება შესაბამისად იმ რაოდენობის, რა რაოდენობას ითხოვს კოლეჯი. საქართველოს, როგორც სატრანზიტო პოტენციალის მქონე და განსაკუთრებით ამ პანდემიის დროს ლოგისტიკის საჭიროების დადასტურებისას ეჭვი არ ჩნდება ლოგისტიკის სპეციალისტების მომზადების თაობაზე.

ნინო კაკულიას აინტერესებდა ვინ არიან პარტნიორი კომპანიები, რაზედაც ნიკა ჯიაძემ უპასუხა: შპს ,,აი ტი ემ გლობალ ლოჯისტიკა“, შპს ,,სუფარის ტრანსპორტ სერვისი“, ,,გაკო ტერმინალი“, GREENWAY LOGISTIC LTD, შპს ,,თეზა ტრანსი”, შპს ,,სარ გრუპი”, ,,ილო ტრანსპორტი“ და სხვა.
უშუალოდ რა მიმართულებით ხდება პრაქტიკის გავლა ჩაეკითხა ნინო კაკულია. - პროგრამაში გათვალისწინებულია 30 საათი საწარმოო პრაქტიკა, სხვადასხვა ტიპის კომპანიებია ჩართული. არ არსებობს კომპანია, რომელიც ყველა სახის გადაზიდვებს გააკეთებს აქ დაგეგმვაზეა საუბარი და არა პროცედურების განხორციელებაზე, უპასუხა ექსპერტმა.

შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელმა, ია ერაძემ დაამატა, რომ ის არ არის სპეციალისტი ამ მიმართულებით, მაგრამ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და სწორედ პანდემიამ დაანახათ, რომ ეს რგოლი არის განსავითარებელი ქვეყანაში და ამიტომ არის პრიორიტეტულად მიჩნეული. ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება პროგრამას, დარგის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად, გერმანელი პარტნიორი ახორციელებს ლოგისტიკის მიმართულების პროგრამას და შეისწავლეს მათი პროგრამა, ვინაიდან მათ უნდათ, რომ გერმანელი პარტნიორები დაითანხმონ ERASMUS- ის ფარგლებში, მოლაპარაკება თითქმის შემდგარია, რომ ერთი მოდული წაიკითხონ. ინტერესი მაღალია პროგრამის შესწავლის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს (ს/კ:406037550) დანართით განსაზღვრულ „ლოგისტიკის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 180-ით **(დანართი 5).**

8. სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (დედოფლისწყარო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

9. სსიპ - კოლეჯ ,,აისის" ,,ბუღალტრული აღრიცხვის" (ლაგოდეხი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტმა ირაკლი სალუქვაძემ წარადგინა დასკვნის პრეზენტაცია. რადგან დაწესებულების ორივე ლოკაციაზე იდენტური სიტუაცია იყო, მან ორივე პროგრამა ერთად წარმოადგინა. საკითხი ეხებოდა სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას ორ ლოკაციაზე, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხში. წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების დოკუმენტაცია, გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ეს არის მოდულური პროგრამა. ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ერთადერთი განმავითარებელი რეკომენდაცია გაიცა:
2.2.1 დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განმახორციელებლის დანართის შევსების დროს, თითოეულ მოდულს მიუთითოს ყველა შესაძლო განმახორციელებელი, რომელსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება.

რაც შეეხება აღჭურვილობას, პროგრამა სრულად იყო აღჭურვილი ორივე ლოკაციის ადგილზე, მან წარმოადგინა ფოტო მასალა: ბიბლიოთეკის, სადაც გადამოწმდა წიგნები ორივე ლოკაციაზე, რესურსი იყო ელექტრონული სახითაც. ორივე ლოკაციაზე გამოყოფილი იყო B C გარემო, სადაც გათვალისწინებულია ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პროფესიული მოდულების სწავლება. არის ჩატვირთული ორისის პროგრამა, ასევე აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით: პრინტერით, კომპიუტერით, ფლეშ მეხსიერების ბარათებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე ლოკაციაზე დამატებით გამოყოფილია B გარემო, სადაც პროგრამის მოდულებს ასწავლიან.
2.2 სტანდარტი მათ მიერ შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ შეამოწმეს სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულადაც. გაესაუბრენ პროგრამის განმახორციელებლებს ორივე ლოკაციაზე და პროგრამის ხელმძღვანელებს. გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია.

შორენა ჯაფარიძემ ექსპერტებს ჰკითხა რამდენი მსმენელის დამატებას ითხოვდნენ ლოკაციის მიხედვით, რაზედაც პასუხი იყო 15-15, ჯამში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გახდება 30-30 თითოეულ ლოკაციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ აბსოლუტურად ღიაა რეკომენდაციების მისაღებად. ის ეთანხმება ექსპერტების განმავითარებელ რეკომენდაციას და მზად არიან გაიზიარონ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (დედოფლისწყარო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ - კოლეჯს ,,აისი“ (ს/კ:227770800) დანართით განსაზღვრულ „ბუღალტრული აღრიცხვის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 6)**.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „აისის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ლაგოდეხი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში

ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ - კოლეჯს ,,აისი“ (ს/კ:227770800) დანართით განსაზღვრულ „ბუღალტრული აღრიცხვის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 7).**

10. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ვიზაჟის მომსახურების“ (ქ.ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების სესახებ საკითხის განხილვა;

11. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელიაღზრდის“ (ს.გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების ,,ვიზაჟის მომსახურება“ (ქ.ოზურგეთი) და ,,სკოლამდელი აღზრდა“ (ს. გორაბერეჟოული) დამატების შესახებ დასკვნის პრეზენტაციები საბჭოზე წარადგენა ექსპერტმა თაბუკა ციმინტიამ. მან აღნიშნა, რომ თუ საწინააღმდეგო არ ექნება საბჭოს ორივე პროგრამას ერთად წარმოადგენდა, თანხმობის შემდეგ მან ორივე პროგრამაზე ისაუბრა. კოლეჯ ,,ჰორიზონტში“ იყვნენ ,,ვიზაჟის მომსახურებაზე“ ქ. ოზურგეთში და ,,სკოლამდელი აღზრდის“ პროგრამასთან დაკავშირებით იყვნენ ჩოხატაურში, სოფელ გორაბერეჟოულში. რაც შეეხება სტანდარტთან შესაბამისობას, ექსპერტმა თქვა, რომ დაწესებულების და ექსპერტების შეფასება დაემთხვა, მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტი სრულად იყო შეფასებული. ხარვეზი არ დაფიქსირებულა. იყო ერთი უმნიშვნელო განმავითარებელი რეკომენდაცია. ვიზიტი იყო კონსტრუქციულ გარემოში, სასიამოვნო გარემო დახვდათ, ყველაფერი იყო შესაბამისობაში. სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა ,,ვიზაჟის მომსახურებაზე“ 15 სტუდენტია და „სკოლამდელი აღზრდის“ პროგრამაზე, 30 სტუდენტი. დაწესებულება ორ ცვლაში იმუშავებს და გაითვალისწინებს იმას, რომ შერჩეული გრაფიკით განახორციელოს პროგრამა.
,,ვიზაჟის მომსახურების“ პროგრამას სამ სილამაზის სალონთან აქვს მემორანდუმი გაფორმებილი. მოხდა ამ ობიექტების დათვალიერება დარგის ექსპერტთან ერთად, სადაც განახორციელებენ საწარმოო პრაქტიკის მოდულს და გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებშიც იქნება სასწავლო ვიზიტი და სამივე სალონში 15 სტუდენტიდან გადანაწილდება 5-5 სტუდენტი. რაც შეეხება სრული რენტაბელობის ზღვარი 5 პროფესიული სტუდენტია. მეორე პროგრამისთვის ,,სკოლამდელი აღზრდა“ 6 პროფესიულ სტუდენტზე.

ექსპერტმა სასწავლო გარემოები ფოტოებით წარმოადგინა. ისაუბრა განმავითარებელ რეკომენდაციაზე, რაც შემდეგში მდგომარეობს:
2.4.3.3 რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს. ეს რეკომენდაცია ორივე პროგრამისთვის მიეცათ.
მატერიალური რესურსი საკმარისი იყო, სასწავლო რესურსი ინახა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო ელექტრონული სახითაც.
რაც შეეხება გორაბერეჟოულის ლოკაციაზე სასწავლო გარემო ძალიან კარგი იყო, ლამაზი აუდიტორიები დახვდათ, მოწყობილი თანამედროვე აღჭურვილობით. გადაამოწმეს სასწავლო რესურსიც დარგის ექსპერტთან ერთად და დადასტურდა, რომ აქვთ შესაბამისი რესურსი. აგრეთვე აქვთ სტუდენტების მოსასვენებელი გარემო, რომლის ფოტოებიც წარმოადგინა საბჭოზე ექსპერტმა.
დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ დაამატა, რომ ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად ისაუბრა პროგრამებზე, მას შეუძლია მხოლოდ კარგზე ისაუბროს. მთავარია, რომ შეხვედრა იყო თანამშრობლობითი, დადებითი. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ დარგობრივ კომპეტენციებს, მათ ძალიან კეთილმოწყობილი სამუშაო გარემო ჰქონდათ და ასევე ძალიან კარგ საწარმოო ობიექტებთან აქვთ თანამშრომლობა, თვით კოლეჯი ისტორიულ შენობაშია და გამოირჩევა ახალგაზრდული კოლექტივით, რომლებიც შემართებით არიან განწყობილი თავისი საქმის მიმართ, ძალიან მონდომებულები არიან და მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ პროფესიულ განათლებაში, ხარისხიან განათლებაში და რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხდება გურიაში, რეგიონში.
დარგის ექსპერტმა, ხათუნა წერეთელმა თქვა, რომ დაეთანხმება ბატონ თაბუკას, რომ ძალიან თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში ჩატარდა ვიზიტი. ძალიან კარგი დაწესებულებაა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სასიამოვნო გარემოა შექმნილი. მან ყურადღება გაამახვილა განმახორციელებლებთან გასაუბრების თემაზე. თქვა, რომ გაესაუბრა პროფესიულ დარგობრივი მოდულების მასწავლებლებს, 9 მასწავლებელს. ახალგაზრდა კადრი ჰყავთ, ძალიან მოტივირებულები და რათქმაუნდა, მათი კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრულ შედეგებზე გასვლას. ძალიან კმაყოფილები არის ვიზიტის და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას.
პრაქტიკის ობიექტზე თუ მოხდა გასაუბრება, იკითხა შორენა ჯაფარიძემ, რაზედაც ხათუნა წერეთელმა უპასუხა, რომ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი იყო ერთ-ერთი განმახორციელებელი და რათქმა უნდა მოხდა გასაუბრება. მიუხედავად იმისა, რომ არდადეგები იყო და სწავლის პროცესი არ იყო, მაინც მოხდა გასაუბრება და ვიზუალურად დათვალიერება პრაქტიკის ობიექტზე.
შორენა ჯაფარიძის შემდეგი კითხვა იყო ექსპერტების მიმართ, რომ მათ ალბათ შეისწავლეს პროგრამის საჭიროების დასაბუთება და რით ასაბუთებენ ამ რაოდენობის სტუდენტებს ორივე პროგრამაზე. ამ კითხვას უპასუხა თაბუკა ციმინტიამ, მან თქვა, რომ წარმოდგენილი იყო კვლევა, რაოდენობრივი, და წარმოდგენილი იყო ამასთანავე გურიაში მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც როგორც მომსახურების, ასევე სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით პროგრამები იყო მოთხოვნად პროგრამებს შორის, რომლებიც უნდა განვითარებულიყო და ეს კვლევა საქართველოს მთავრობის დადგენილებით მოეწოდათ ექსპერტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა ჯოლიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს, ასეთი შეფასებისთვის და დამოკიდებულებისთვის. რაც აძლევს მათ მოტივაციას, რომ კიდევ მეტი პროგრამები, რაც იქნება რეგიონის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაიმატონ და პასუხი გასცენ კერძო თუ საჯარო სექტორს, ადამიანური კაპიტალის გაზრდის მიზნით.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ვიზაჟის მომსახურების“ (ქ. ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ- კოლეჯ “ჰორიზონტს“(ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვიზაჟის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ოზურგეთში **(დანართი 8).**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ (ს.გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ- კოლეჯ “ჰორიზონტს“(ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში **(დანართი 9).**

12. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ,,სასტუმროს მომსახურების“ (ქ.ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

13. ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (ს.გორაბერეჟოული) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი სგანხილვა;

დასკვნების პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა ნინო ვასაძემ. მან ისაუბრა სტანდარტებზე. მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, როგორც დაწესებულების, ასევე ექსპერტების მხრიდან, ორივე პროგრამასთან მიმართებით, როგორც ,,სასტუმროს მომსახურების", ასევე სოფ. გორაბერეჟოულის ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამის მიმართაც. რაც შეეხება რეკომენდაციებს, აღნიშნა ექსპერტმა, გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ:

2.1.1.1 რეკომენდირებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა. პროგრამის განხოციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. სასურველია, დაწესებულებამ დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიევევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს, შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროსთუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით შორენა ჯაფარიძეს აინტერესებდა, რას გულისხმობს სრულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში, რაზედაც ექსპერტის პასუხი იყო, რამდენად არის შესაძლებელი დაწესებულებამ განახორციელოს აღნიშნული პრპგარამა, ზოგადად აქვს თუ არა ამის რესურსი, ადამიანური, თუნდაც იმ მატერიალური რესურსით რაც აქვთ. თუმცა მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია, იქ რაც დახვდათ იმ რესურსებით, ამ პროგრამების განხორციელება შესაძლებელი, მაგრამ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტისთვის მნიშვნელოვანია, ანუ აღწერილი რომ იყოს დოკუმენტში.

ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტომასალა, დაწესებულებას გააჩნია ამ პროგრამების განხორციელების შესაბამისი A, B და C გარემოები, შესაბამისად აღჭურვილი. მან ასევე ბიბლიოთეკის ფოტოც წარმოადგინა და B გარემოს ფოტოც. ექსპერტმა თქვა, რომ დაწესებულება მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდულის დასუფთავების ორ სწავლის შედეგს გაიტანს საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე. ეს არის სასტუმრო „პარაგრაფი" შეკვეთილში. დანარჩენი რესურსი A, B და C გარემოში არის უზრუნველყოფილი, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განხორციელებისათვის არის შესაბამისი რესურსი და ეს გადამოწმდა ვიზიტის პერიოდში. მან ვერ დაფარა აღფრთოვანება, რაც გამოიწვია დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებამ, კერძოდ, ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებს. ისინი მზად არიან და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და მზაობა, რომ განახორციელონ ინტეგრირებული მოდულები. ასევე დარგობრივი და სხვა პროფესიული განათლების მოდულების განმახორციელებელი პირებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს და აქვთ დარგობრივი კომპეტენცია, მათ შორის, დარგის ხელმძღვანელსაც ორივე პროგრამაზე, მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

ექსპერტმა ასევე წარმოადგინა გორაბერეჟოულის ფართის ამსახველი ფოტოები, ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სასწავლო რესურსით, ორივე ბიბლიოთეკაში, ორივე პროგრამაზე, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის.

გორაბერეჟოული არის ფილიალი ამ დაწესებულების. ექსპერტებმა გასცეს შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.1 რეკომენდირებულია, კოლეჯმა გორაბერჟოულის ფილიალისთვის შეძენილი ინვენტარის გადაცემა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან გააფორმოს შიდა მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.1.6 რეკომენდირებულია მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს სასწავლო რესურსების ადაპტირების წესი.

2.3.1.1 რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებდეს იმ დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე გაეცნონ დამსაქმებელთა მოთხოვნებს რა უნარ-ჩვევებს მოითხოვენ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთაგან და იხელმძღვანელონ პროგრამის განვითარების და დახვეწის პროცესში.
2.4.2.2 რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა (რამდენხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).
ორივე პროგრამაში ერთის გარდა (გორაბერეჟოულისთვის მატერიალური რესურსისთვის მიღება-ჩაბარების აქტი), იდენტური რეკომენდაციები იყო.
დარგის ექსპერტმა, ნინო მოწყობილმა დაამატა, რომ განმეორდება ალბათ ნინო ვასაძის ნათქვამთან მიმართებაში, რომ ყველაფერი დაწესებულების მხრიდან დადებითი იყო, პირველ რიგში აღნიშნა დამოკიდებულება სასწავლო პროგრამის განვითარებასთან, რომელიც მამოტივირებელია, კომუნიკაცია აქვთ დარგის საწარმოებთან, სასტუმროებთან, აქვთ მათთან მჭიდრო კომუნიკაცია, მათი მოთხოვნების და საჭიროებების მიხედვით ცდილობენ შექმნან პროგრამა, რომელიც გაზრდის მათთვის გამოსადეგ კადრებს, ამიტომ ეს პროცესი, ფიქრობს საჭირო გარემოში მიმდინარეობს და მან წარმატებები უსურვა კოლეჯს.
გარდა პარაგრაფისა, ვისთან აქვს ხელშეკრულება დადებული კოლეჯს, იკითხა შორენა ჯაფარაძემ, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ მხოლოდ პარაგაფთან აქვთ ხელშეკრულება, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯთან.
შორენა ჯაფარიძის შემდეგი კითხვა იყო, აქვთ თუ არა ინფორმაცია კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს საუბარი ჰქონდათ კოლეჯთან და არიან დასაქმებულები მათი კურსდამთავრებულები, რამდენიმე დასაქმებულია პარაგრაფში, სხვა კურსდამთავრებულებიც მუშაობენ სხვა სასტუმროებში.
ნანი დალაქიშვილმა ექსპერტს ჰკითხა 2.2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, გორაბერეჟოულის ფილიალისთვის შეძენილი ინვენტარის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით, აინტერესებდა რა ინვენტარზეა საუბარი. ექსპერტმა უპასუხა, რომ იქედან გამომდინარე, რომ დირექტორი ერთია, ეს ყველა ინვენტარი არის კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ ბალანსზე. ცალკე გორაბერეჟოულის ფილიალისთვის არ არის მიკუთვნებული.
დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ყველა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ არის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართისთვის შეძენილი ინვენტარი და მიწოდებულიც იქნა ეს ხელშეკრულებები ექსპერტებისთვის მათ მიერ. ცალკე მიღება-ჩაბარებით არ იყო დაფიქსირებული, თითოეულ ხელშეკრულებაში იყო განსაზღვრული რომ ეს იყო კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ მიერ შეძენილი, მაგრამ განკუთვნილი გორაბერეჟოულის სასწავლო ფართისთვის.
დარგის ექსპერტმა, გიული გურგენიძემ თავის გამოსვლაში დადებითად აღნიშნა პროგრამის განმახორციელებლებზე, მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო რესურსიც შემოწმდა და ხელმისაწვდომი და შესაბამისია, ჩატვირთულია ,,ორისის“ პროგრამა კომპიუტერებში,

ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სასტუმროს მომსახურების“ (ოზურგეთი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ- კოლეჯ "ჰორიზონტს"(ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქალაქ ოზურგეთში **(დანართი 10).**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისთვის" „ბუღალტრული აღრიცხვის" (ს.გორაბერეჟოული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,
ა(ა)იპ- კოლეჯ "ჰორიზონტს"(ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში **(დანართი 11).**

14. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ზაირა ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა გასული წლის დეკემბერში. მათი ვიზიტის მიზანი გეგმიური მონიტორინგი იყო და შესაბამისად, ხუთივე სტანდარტის მიხედვით მოხდა შეფასება. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა, თუმცა განმავითარებელი და შესაბამისობის რეკომენდაციები იქნა გაცემული. ცოტა განსხვავებული რეკომენდაციაა მეხუთე სტანდარტთან (მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები) დაკავშირებით, რომელიც მეტწილ შესაბამისობაშია. ამ შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა

და სწორედ აქედან გამოვიდა მათი რეკომენდაცია, სახანძრო უსაფრთხოებას ეხებოდა და მათ შორის, კონკრეტული პირის აყვანას, რომელსაც დაწესებულება აპირებს მინდინარე წლის მაისი-ივლისის პერიოდში, დაწესებულებამ უნდა მაქსიმალურად დაასრულოს ეს აქტივობები, რაც შესაბამისობის გეგმით აქვთ წარმოდგენილი. მათი შეფასებაც აქედან არის გაკეთებული ამ სტანდარტის პირველ ინდიკატორთან დაკავშირებით.
მან წარმოადგინა დაწესებულების ფოტო მასალა, რაც შეეხება სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილს, როგორც აღნიშნა, თანხვედრაში მოდის სტანდარტებთან. გაცემული რეკომენდაციები არის განმავითარებელი და ხარვეზები არ დაფიქსირებულა. მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა აქვთ მხოლოდ მეტწილ შესაბამისობაში, რომელიც შესაბამისობის გეგმითაც არის წარმოდგენილი.
მთლიანი სტანდარტი როგორ გაქვთ შეფასებული, დაინტერესდა შორენა ჯაფარიძე, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ მე-5 სტანდარტი სრულად შესაბამისია, პირველი კომპონენტია მეტწილი.
ნანი დალაქიშვილმა სთხოვა ექსპერტს განემარტა, რაში მდგომარეობდა ამ ინდიკატორის მეტწილი შესაბამისობა.
ექსპერტმა უპასუხა, 5. 1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია იმიტომ, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მას ჰქონდა გაწერილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, რომ მიმდინარე წლის მაისისთვის მას ეყოლება აყვანილი თანამშრომელი, შესაბამისი კომპეტენციით. ასევე, 5.1.1.2 ინდიკატორის თანახმად, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დასკვნის წარმოდგენასთან დაკავშირებით არის გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია, ასევე 5.1.2.3 ასევე შეფასდა მეტწილად, რადგან დაწესებულებას აქვს სახანძრო უსაფრთხოების მართვის გეგმა, რომელიც არის დამტკიცებული უფკლებამოსილების პირის მიერ, თუმცა აღნიშნული არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან და შესაბამისად ეს აქტივობაც გაწერილია ამავე გეგმაში და იგულისხმება, რომ მიმდინარე წლის ივლისის პერიოდში იქნება სრულყოფაში მოყვანილი ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.
ფაქტიურად ეს არის ხარვეზები და ვინაიდან დაწესებულებამ ეს ყველაფერი თავის გეგმის ფარგლებში ჩამოაყალიბა, ექსპერტების მიერ კვალიფიკაცია გაკეთდა, როგორც მეტწილი შესაბამისობა, რადგანაც 6 თვის მანძილზე შესაძლებელია ამის გამოსწორება, დააზუსტა შორენა ჯაფარიძემ.
ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მეტწილი შესაბამისობა გამოსწორებას საჭიროებს, დააზუსტა ნანი დალაქიშვილმა, რომელსაც სჭირდება დრო და 6 თვე აქვს აღებული დაწესებულებას.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ის გეგმა. რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ, რამდენად რელევანტური იყო, რამდენად შესრულებადი ასახული ინფორმაციით, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ გეგმა იყო მაქსიმალურად გაწერილი შესაბამისი რესურსებით, დროის ფაქტორით, ეს არსებული დოკუმენტი, რომელიც მათ მიეწოდათ და შეისწავლეს, აძლევს მათ შესაძლებლობას შეაფასონ ამ ეტაპზე ,,მეტწილი შესაბამისობით“, რადგან არის შესრულებადი, გაწერილი აქტივობების შესაბამისად.
პროგრამებთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ ჰქონიათ. მათ ჰქონდათ საშუალება გასაუბრებოდნენ პროგრამების ხელმძღვანელებს და პროგრამის განმახორციელებლებს, ორივე პროგრამაში არანაირი შენიშვნა, რეკომენდაცია არ გაცემულა. ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია. ერთადერთი რეკომენდაცია რაც იქნა გაცემული, ეს ეხებოდა პროგრამების ადაპტაციას, თუმცა მათ არ ჰქონიათ ამ მექანიზმის აქამდე გამოყენების საშუალება, მათ უბრალოდ რეკომენდაციის სახით მისცეს, იქნებ მეტი კონკრეტიზაცია ყოფილიყო გაკეთებული, და შემდეგ ეს მექანიზმი უფრო მოქნილი იქნებოდა. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან, მაგ. საექთნო განათლების შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტებია: შპს ,,აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ; კლინიკები: ,, სიცოცხლის ხე“, ,, ევექსის კლინიკები“, რომლებთანაც მემორანდუმები აქვთ გაფორმებული. რაც შეეხება საბაჟო საქმეს, პრაქტიკის ობიექტებია:

შემოსავლების სამსახური; ახალციხეში არსებული საბაჟო ტერმინალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები თვითონ ობიექტის წარმომადგენლებიც არიან, რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს, რადგან ზუსტად იციან პრაქტიკული კომპონენტის არსი რაში მდგომარეობს და ასევე თეორიული ფორმატიც როგორ მიმდინარეობს და თანხვედრაში მოდის ეს ორი კომპონენტი ერთმანეთთან და ფიქრობს, პროგრამის მდგრადობას უწყობს ხაზს. და ამ ნაწილში საკმაოდ ძლიერი რესურსი აქვთ დაწესებულებას. ორივე პროგრამა სრულ შესაბამისობაშია. შემდეგ ექსპერტმა რამდენიმე ფოტომასალა წარმოადგინა, როგორც ერთი, ისე მეორე პროგრამის ფარგლებში.

დარგის ექსპერტმა ქეთი ჯანელიძემ თქვა, რომ ეთანხმება ექსპერტს, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა, საექთნო პროგრამასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტიც იტყვის ალბათ, მაგრამ ორ მოდულთან დაკავშირებით, ავადმოვლა და შინმოვლა, დაწესებულებას გატანილიც აქვს ეს მოდული, თუმცა ადგილზეც ჰქონდათ ყველაფერი წარმოდგენილი, ესეც შეისწავლეს და არაფერი აქვს განსხვავებილი სათქმელი, ძალიან პოზიტიური ვიზიტი იყო და ძალიან სასიამოვნოა, რომ დაწესებულება ასე მონდომებულია განვითარებაზე.

დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ თქვა, რომ პირველად მოუწია ამ სასწავლებელში ვიზიტი და ისე მოხდა, რომ ფორსმაჟორული რეჟიმით ჩაანაცვლა სხვა ექსპერტი ობიექტური მიზეზების გამო. მან აღნიშნა, რომ რეგიონი არის ძალიან დატვირთული საბაჟო საქმის მხრივ, რადგან უამრავი საბაჟო გამსვლელი პუნქტებია, რეგიონში ეს პროგრამა ნამდვილად იმუშავებს. მან აგრეთვე პედაგოგებზე გაამახვილა ყურადღება, მოქმედი მებაჟეები არიან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამ პროგრამას სხვა კოლეჯში კითხულობს, შეუძლია თქვას რომ ამ პროგრამაში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგები ჰყავთ, რაც გასაუბრებითაც დადგინდა და ისედაც იცის მათი რეჟიმი.

ექსპერტმა, თათია ბოლქვაძემ დაამატა, რომ ორი მოდული აქვთ გატანილი ,,ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“. ,,ახალ სიცოცხლეში“ მიმდინარეობს ამ მოდულების სწავლება, სადაც ყველაფრით არის უზრუნველყოფილი, ყველანაირი შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებები განხორციელდეს. საერთო ჯამში კმაყოფილი დარჩა იმიტომ, რომ ყველანაირი შესაძლებლობებია, რომ მიიღონ განათლება სტუდენტებმა და კვალიფიცირებული ექთნები გამოვიდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქალბატონმა მაკამ ბერიძემ დააფიქსირა, რომ თითოეული დღე, თითოეული ექსპერტის რეკომენდაცია, თითოეული სამუშაო სივრცე და შესაძლებლობა გაეზიარებინათ ერთმანეთის აზრი, ამან ხელი შეუწყო უნივერსიტეტის განვითარებას, ამიტომ მან უღრმესი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. შემდეგ ისაუბრა გაუმჯობესების გეგმაზე, მაშინვე დაიწყეს მუშაობა, მაქსიმალური პერიოდი აქვთ აღებული, უსაფრთხოების დასკვნაზე იყო ყურადღება გამახვილებული, ტენდერიც გამოცხადებულია, რომ კომპეტენტურმა ფირმამ გააკეთოს, ტენდერი შემდგარია, უკვე ყავთ გამოვლენილი ობიექტიც და მეტიც, და სატენდერო შეთანხმებაც დადასტურებული აქვთ. ასევე ექსპერტებმა ურჩიეს ჰყავდეთ ცალკე უსაფრთხოების სპეციალისტი, შექმნეს კვალიფიციური მოთხოვნები და კონკურსი აქვთ გამოცხადებული.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 424066977) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს ჩაინიშნოს მონიტორინგი 5.1 კომპონენტის გადამოწმების ფარგლებში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 22 აგვისტო. მონიტორინგის ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ იმ ეტაპზე ქვეყანაში არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:47 საათზე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. N 5
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი,სოფელი სამრეკლო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ს. შრომა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	ვიზაჟის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

დანართი 9

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 10

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

დანართი 11

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129